https://www.radiotavisupleba.ge/a/2067376.html

პედაგოგთა პროფკავშირი ხელისუფლებას ადანაშაულებს

ივნისი 10, 2010

პედაგოგთა პროფკავშირი ხელისუფლებას პროფკავშირის საქმიანობაში ჩარევაში ადანაშაულებს. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირიდან აცნობეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დირექტივებს აძლევს რესურს-ცენტრებსა და სკოლების დირექტორებს, რათა პროფკავშირში საწევროები არ გადარიცხონ. "ასეთი დირექტივები, ბუნებრივია, მინისტრის ოფიციალური ბრძანებით არ ხდება და მხოლოდ ზეპირი გაფრთხილებებია. თუმცა, ამ დირექტივის დაუცველობის შემთხვევაში, რესურს-ცენტრების ხელმძღვანელებს და დირექტორებს სამსახურიდან დათხოვნა ემუქრებათ", - აცხადებს პედაგოგთა პროფკავშირის პრეზიდენტი მანანა ღურჭუმელიძე.